ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 89

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2012 წლის 15 მაისს, ერთის მხრივ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს, გამგებელს დიმიტრი ლოლაძეს (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შ.პ.ს "აკა-ენერჯი"-ს დირექტორის კახაბერ აზიკურს (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის, საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-10' მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის №162 განკარგულების საფუძველზე.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი:

2.1 სოფლის პროგრამის ფარგლებში ქ. ლაგოდეხის სოფელ აფენში ქუჩების გარე განათების სამონტაჟო სამუშაოები.

2.2. პროექტის კლასიფიკატორის კოდი: 45200000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 36074.69/ოცდათექვსმეტი ათას სამოცდათოთხმეტი და69თ/ ლარს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს სამუშაოს ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფი.

5. სამუშაოს გაწევის პირობები და ვადები

5.1 სამუშაოს გაწევა განხორციელდება წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის ფარულ ნაწილს.

5.2 სამუშაოს დასრულების ვადა-2012 წლის 31 ივლისი.

6. სტანდარტები და ხარისხი

6.1. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ინსპექტირების (ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი) ჯგუფის დასკვნა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები (შესრულებული სამუშაოების შესახებ).

7.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტი.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1. დროულად და კეთილსინდისერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;

8.1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების წარმოშობის შესახებ;

8.1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

8.1.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს;

8.2.3. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებელი არღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.3.2. უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

8.3.3. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებით დანახარჯების გაწევის გარეშე;

8.3.4. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები აღჭურვილობა და მექანიზმების მიწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით და რესურსებით და მიმწოდებელი პასუხისმგებელი უნდა იყოს აღნიშნული მასალების აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე;

8.3.5. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს

8.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება;

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში 2012 წლის დავალების მუნიციპალიტეტის სახსრებით.

9.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

9.3 შესაბამისი თანხის საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია წინასწარი /საავანსო/ ანგარიშსწორება.

9.4 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტის საფუძველზე.

10. ფასები

10.1 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

13. გარანტია

13.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას ორი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს სრულფასოვან ფუნქციონირებაზე, გარდა მექანიკური დაზიანებისა.

13.2. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

14.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

14.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

14.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ)მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.5 ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუსაოს ღირებულება.

15.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

16. ფორს-მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. გამოყენებული სამართალი

18.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. ხელშეკრულების ენა

19.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

20. შეტყობინებები

20.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

20.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

21. გადასახადები და დაბეგვრა

21.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

22. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

22.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მისი პირობების სრულ და სრულფასოვან შესრულებამდე.

23. სხვა პირობები

23.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

23.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

23.3 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან ხოლო ერთი - მიმწოდებელთან.

23.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

23.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	შ.პ.ს. „აკა-ენერჯი"
საიდ.კოდი: 233144987	საიდ. კოდი: 231289511
ლაგოდეხი, 26 მაისის ქ.№23	ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N43
ს.ს. ლიბერთი ბანკი	ს.ს. ლიბერთი ბანკი თელავის ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE 22	ბანკის კოდი: 220101469
ანგ. №GE37LB0120118067888000	ანგ. № GE96LB0113135401 40000
დიმიტრი ლოლაძე	კახაბერ აზიკური
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი	შ.პ.ს. „აკა-ენერჯი"-ს დირექტორი
---	---

სოფ. აფენში ძუხების ბარე განათების სამონტაჟო სამუშაოები

ხარჯთაღრიცხვა

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება – 36074,69 ლარი

№	ნორმატივის შიფრი	სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	განზ-ბა	რაოდენობა		მასალა		ხელფასი		მექანიზმი ტრანსპ.		სულ
				ნორმა-ტივის ერთ-ზე	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	საბაზრო	თავი I სტალინის პლანი ფოლადის მილის ერთმკლავა კრონშტეინის (გამბრჯენის) მონტაჟი	ც		39							
		შრ. დანახარჯი	ლარი		39			3,5	195,0			195,0
	სრფ 12-77	კოშკ. ტელესკოპური ამწე	მანქ/სთ	0,2315	9,03			4,57	42,89	17,5	158,03	200,92
	საბაზრო	ფოლადის მილის კრონშტეინი (გამბრჯენი)	ც		39	17,0	663,0					663,0
	სრფ 1.3-51	ლითონის ზოლოვანა 30X4 მმ 0,65X2	გრძ.მ.	1,3	50,7	1,5	76,05					76,05
	საბაზრო	სარჭი ქანჩებით	ც	2	78	1,2	93,6					93,6
2	სნ და წ 15-160-5	შეიღებოს ლითონის კრონშტეინი	მ^2		6,2							
		შრ. დანახარჯი	ლარი	2,02	12,52			2,8	35,06			35,06
	საბაზრო	საღებავი	კგ	0,253	1,6	5,0	8,0					8,0
3	საბაზრო	მოეწყოს კაკვი TF ტიპის იზოლატორით	ც		78							
		შრ. დანახარჯი	ლარი		78			2,4	187,2			187,2
	სრფ 12-77	კოშკ. ტელესკოპური ამწე	მანქ/სთ	0,0587	4,58			4,57	20,93	17,5	80,15	101,08
	საბაზრო	TF ტიპის კაკვი იზოლატორით	ც		78	3,6	280,8					280,8
4	ენ და გ 23-2-21-4ა 23-2-22 23-2-23 23-2-25	გარე განათების თვითმხიდი იზოლირებული ელ. სადენის მონტაჟი	გრძ.მ.		3300							
		შრ. დანახარჯი	ლარი	0,11428	377,12			2,8	1055,94			1055,94
		კოშკ. ტელესკოპური ამწე	მანქ/სთ	0,01537	50,72			4,57	231,79	17,5	887,6	1119,39
	სრფ 7.1-468	იზოლირებული ელ. სადენი სიპ 2X16	გრძ.მ.	1,01	3333	1.02	3399,66					3399,66

2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
5 სნ და წ IV.05.82 21-142	ქუჩის განათების სანათის მონტაჟი ნატრიუმის ნათურით პპვ 4X25 დამაერთებელი სადინით	ც		39							
	შრ. დანახარჯი	ლარი	1,68	65,52			2,8	183,46			183,46
სრფ 12-77	კომპ. ტელესკოპური ამწე	მანქ/სთ	0,39	15,21			4,57	69,51	17,5	266,18	335,69
საბაზრო	სანათი 150 ვტ სიმძლავრის ნატრიუმის ნათურით	ც		39	115,0	4485,0					4485,0
სრფ 72-602	დამაერთებელი ელ.სადენი პპვ 1X2,5	გრძ.მ.	3	117	0,55	64,35					64,35
6 საბაზრო	კაბელისა და ელ. სადენის დაერთება პ 616 ტიპის მომჭერებით	ც		78							
	შრ. დანახარჯი	ლარი		78			0,4	31,2			31,2
სრფ 12-77	კომპ. ტელესკოპური ამწე	მანქ/სთ	0,0036	2,81			4,57	12,84	17,5	49,18	62,02
საბაზრო	მომჭერი პ 616 ტიპის	ც		78	8,5	663,0					663,0
7 საბაზრო	გარე განათების კარადის მონტაჟი მართვის აპარატურით დაყენება გამართვა, გაშვებით	ც		2			35,0	70,0			70,0
საბაზრო	კარადა გარე განათების კომპლექტი (ავტომატური ამომრთველი, ფოტორელე კონტაქტორი, გამანაწილებელი ფაზანოლი მრიცხველი)	ც		2	300,0	600,0					600,0
	დამიწების კონტური	ც		2	50,0	100,0					100,0
	მრიცხველის ყუთი	ც		2	15,0	30,0					30,0
	სულ I თავი					10463.46		2135.82		1441.14	14040.42
1 საბაზრო	თავი II ცხაკაიას ქუჩა ფოლადის მილის ერთმკლავა კრონშტეინის (გამბრჯენის) მონტაჟი	ც		10							
	შრ. დანახარჯი	ლარი		10			3,5	35,0			35,0
სრფ 12-77	კომპ. ტელესკოპური ამწე	მანქ/სთ	0,2315	2,315			4,57	10,58	17,5	40,51	51,09
საბაზრო	ფოლადის მილის კრონშტეინი (გამბრჯენი)	ც		10	17,0	170,0					170,0
სრფ 1.3-51	ლითონის ზოლოვანა 30X4 მმ 0,65X2	გრძ.მ.	1,3	13	1,5	19,5					19,5
საბაზრო	სარჭი ქანჩებით	ც	2	20	1,2	24,0					24,0
2 სნ და წ 15-160-5	შეღებოს ლითონის კრონშტეინი	მ^2		1,6							
	შრ. დანახარჯი	ლარი	2,02	3,23			2,8	9,04			9,04
საბაზრო	საღებავი	კგ	0,253	0,4	5,0	2,0					2,0

2		3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
	საბაზრო	მოეწყოს კაკვი TF ტიპის იზოლატორით	ც		54							
		შრ. დანახარჯი	ლარი		54			2,4	129,6			129,6
	სრფ 12-77	კოშკ. ტელესკოპური ამწე	მანქ/სთ	0,0587	3,17			4,57	14,49	17,5	55,48	69,97
	საბაზრო	TF ტიპის კაკვი იზოლატორით	ც		54	3,6	194,4					194,4
4	ენ და გ 23-2-21-4ა 23-2-22 23-2-23 23-2-25	გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული ელ. სადენის მონტაჟი	გრძ.მ.		2400							
		შრ. დანახარჯი	ლარი	0,11428	274,27			2,8	767,96			767,96
		კოშკ. ტელესკოპური ამწე	მანქ/სთ	0,01537	36,89			4,57	168,59	17,5	645,58	814,17
	სრფ 7.1-468	იზოლირებული ელ. სადენი სიპ 2X16	გრძ.მ.	1,01	2424	1,02	2472,48					2472,48
5	სნ და წ IV.05.82 21-142	ქუჩის განათების სანათის მონტაჟი ნატრიუმის ნათურით ჰპვ 4X25 დამაერთებელი სადინით	ც		27							
		შრ. დანახარჯი	ლარი	1,68	45,36			2,8	127,01			127,01
	სრფ 12-77	კოშკ. ტელესკოპური ამწე	მანქ/სთ	0,39	10,53			4,57	48,12	17,5	184,28	232,4
	საბაზრო	სანათი 150 ვტ სიმძლავრის ნატრიუმის ნათურით	ც		27	115,0	3105,0					3105,0
	სრფ 72-602	დამაერთებელი ელ.სადენი ჰპვ 1X2,5	გრძ.მ.	3	51	0,55	28,05					28,05
6	საბაზრო	კაბელისა და ელ. სადენის დაერთება პ 616 ტიპის მომჭერებით	ც		54							
		შრ. დანახარჯი	ლარი		54			0,4	21,6			21,6
	სრფ 12-77	კოშკ. ტელესკოპური ამწე	მანქ/სთ	0,0036	0,19			4,57	0,87	17,5	3,33	4,2
	საბაზრო	მომჭერი პ 616 ტიპის	ც		54	8,5	459,0					459,0
		სულ II თავი					6474,43		1332,86		929,18	8736,47
I	ენ და გ 23-2-21-4ა 23-2-22 23-2-23 23-2-25	**თავი III** <u>**ცვლაძეების ქუჩა**</u> გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული ელ. სადენის მონტაჟი	გრძ.მ.		1100							
		შრ. დანახარჯი	ლარი	0,11428	125,71			2,8	351,99			351,99
		კოშკ. ტელესკოპური ამწე	მანქ/სთ	0,01537	16,91			4,57	77,28	17,5	295,93	373,21
	სრფ 7.1-468	იზოლირებული ელ. სადენი სიპ 2X16	გრძ.მ.	1,01	1111	1,02	1133,22					1133,22

2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
2	სნ და წ IV.05.82 21-142	ქუჩის განათების სანათის მონტაჟი ნატრიუმის ნათურით პპვ 4X25 დამაერთებელი სადინით	ც		12						
		შრ. დახარჯი	ლარი	1,68	20,16			2,8	56,45		56,45
	სრფ 12-77	კომპ. ტელესკოპური ამწე	მან/სთ	0,39	4,68			4,57	21,39	17,5	81,9	103,29
	საბაზრო	სანათი 70 ვტ სიმძლავრის ნატრიუმის ნათურით	ც		12	95,0	1140,0					1140,0
		საკიდი	ც		20	9,0	180,0					180,0
	სრფ 72-602	დამაერთებელი ელ.სადენი პპვ 1X2,5	გრძ.მ.	3	36	0,55	19,8					19,8
3	სრფ 13	მასალების ტრანსპორტირება ქ. თბილისიდან 156 კმ	ტნ		2					42,25	84,5	84,5
		სულ III თავი					2473,02		507,11		462,33	3442,46
		სულ					19410,91		3975,79		2832,65	26219,35
		ზედნადები ხარჯები 10%										2621,94
		სულ										28841,29
		გეგმიური დაგროვება 6%										1730,48
		სულ										30571,77
		დღგ 18%										5502,92
		სულ										36074,69

ხარჯთაღრიცხვა შეადგინა: ქ. წერეთელი

დირექტორი: მ. ჭაბატაძე